საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-1036

2018 წლის 24 დეკემბერი

ქ. თბილისი

ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესის დამტკიცების შესახებ

„ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონის 33^6 მუხლის 1^2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესი.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ლევან დავითაშვილი**

ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინის რეალიზაციის წესის (შემდგომში – წესი) მიზანია ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე ჩამოსასხმელი ღვინით (შემდგომში – ღვინო) რეალიზაციის რეგულირება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ღვინის კომპანიებზე, მათ შორის ბითუმად და საცალოდ მოვაჭრე ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისთვის, აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ჩამოსასხმელი ღვინო – ღვინო, რომელიც არ არის დაფასოებული სამომხმარებლო ტარაში;

ბ) ღვინის კომპანია – „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით ან/და იმპორტიორი ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტი (ფიზიკური ან იურიდიული პირი), რომლის სამეწარმეო საქმიანობა უკავშირდება ღვინის, ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელის, სპირტის ან/და ვაზის სამყნობი მასალის/ვაზის სარგავი მასალის წარმოებას ან/და რეალიზაციას;

გ) ბითუმად მოვაჭრე – ღვინის კომპანია, რომელიც უშუალოდ არ აწარმოებს ღვინოს და ეწევა მხოლოდ მის რეალიზაციას, გარდა საბოლოო მომხმარებლისთვის რეალიზაციისა;

დ) საცალოდ მოვაჭრე – ღვინის კომპანია, რომელიც ეწევა ღვინის რეალიზაციას საბოლოო მომხმარებელზე;

ე) შესაბამისობის სერტიფიკატი – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ იდენტიფიცირებული პროდუქცია შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის მიმართ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ვ) შესაბამისობის დეკლარაცია – ღვინის კომპანიის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც აკრედიტებული ლაბორატორიის გამოცდის ოქმის საფუძველზე ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოებული, ამ კონკრეტული პარტიის (სარეალიზაციოდ წარმოდგენილი) ღვინო შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ზ) ღვინის თანმხლები დოკუმენტები – სასაქონლო ზედნადები, ლაბორატორიული გამოცდის ოქმი, შესაბამისობის სერტიფიკატი ან შესაბამისობის დეკლარაცია.

მუხლი 3. ღვინის მწარმოებელი კომპანიის, ბითუმად მოვაჭრისა და საცალოდ მოვაჭრის ვალდებულებანი

1. ღვინის მწარმოებელი კომპანია და ბითუმად მოვაჭრე, ღვინის რეალიზაციისას, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ თანმხლები დოკუმენტების შესაბამისი პირისთვის გადაცემა.
2. საცალოდ მოვაჭრე ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ღვინის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან;

ბ) მომხმარებელს მიაწოდოს უვნებელი პროდუქტი, რომელიც სრულად შეესაბამება მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

გ) უზრუნველყოს ღვინის ხარისხის შენარჩუნება და მისი მაჩვენებლების შესაბამისობა ლაბორატორიული გამოცდის ოქმსა და შესაბამისობის დეკლარაციაში ან შესაბამისობის სერტიფიკატში მითითებულთან, ღვინის რეალიზაციის მთელი პერიოდის განმავლობაში;

დ) იქონიოს ღვინის თანმხლები დოკუმენტები;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს მომხმარებელს ლაბორატორიული გამოცდის ოქმი და შესაბამისობის სერტიფიკატი ან შესაბამისობის დეკლარაცია და მიაწოდოს სრული ინფორმაცია ღვინის წარმომავლობის შესახებ (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად);

ვ) საცალოდ მოვაჭრეს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა სარეალიზაციო ღვინის თანმხლები დოკუმენტების ქონაზე.

მუხლი 4. პასუხისმგებლობა

ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.